ა(ა)იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ
ელექტრონულიც ტენდერით (აუქციონის გარეშე (NAT)) შესყიდვის შესახებ
სატენდერო კომისიის სხდომის

სხდომის ოქმი # 1

ქუთაისი 29 თებერვალი 2024 წელი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ :

მარინე ხაჭაპურიძე – ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ აღმასრულებელი დირექტორი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ლალი ჟორჟოლიანი – მარკეტინიგისა და პროდუქტის განვითარების მენეჯერი, კომისიის წევრი;

მაია ბერეკაშვილი – საინფორმაციო ცენტრების კოორდინატორი, კომისიის წევრი;

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად, მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის ტექნიკური და ორგანიზაციული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნეს სატენდერო კომისიის აპარატი შემადგენლობით:

თეონა პერტაია – სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი;

გიორგი აბულაძე – „ოქროს ჩარდახის“ კოორდინატორი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;

ვალერი ჯოჯუა – ბუღალტერი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;“

სხდომას არ ესწრებოდა ნანა ლორთქიფანიძე ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ააიპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციისთვის მობილური აპლიკაციის (თამაშის) და გამლიერებული რეალობის აპლიკაციის სახელმწიფო შესყიდვის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა: 105000 (ას ხუთი ათასი) ლარი) მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ააიპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციისთვის მობილური აპლიკაციის (თამაშის) და გამლიერებული რეალობის აპლიკაციის სახელმწიფო შესყიდვის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა: 105 000 (ას ხუთასი ათასი ლარი) მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების და სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით, ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ მიერ ჩატარებულ იქნა ბაზრის კვლევა.

სატენდერო პირობები ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა 4 (ოთხ) პოტენციურ მიმწოდებელს წინადადების წარმოდგენის მოთხოვნით. მოთხოვნებს დაეთანხმა და წინადადება წარმოადგინა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა.

პრეტენდენტი N 1 – 137 000 (ასოცდაჩვიდმეტი) ლარი
პრეტენდენტი N 2 – 105 000 (ასხუთი ათასი) ლარი

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული უმცირესი ფასი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი,

2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: https://tenders.procurement.gov.ge.

3) წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე–6 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად ატვირთული იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: მარინე ხაჭაპურიძე

Imereti Destination Management Organization
Digitally signed by Imereti Destination Management Organization
Date: 2024.02.29 14:42:37 +04'00'

კომისიის წევრები:

ლალი ქორქოლიანი

მაია ზერეკაშვილი

აპარატის უფროსი: თეონა პერტაია

აპარატის წევრები:

გიორგი აბულაძე

ვალერი ჯოჯუა